IFRS სიღრმისეული კურსი - Deep IFRS Professional

ტრენერები

ვლადიმერ ბეჟაშვილი

IFRS ექსპერტი



თამარ ჩხატარაშვილი

IFRS ექსპერტი

კურსის შესახებ

ფასს სტანდარტების სიღრმისეული კურსი - Deep IFRS Professional Course მოიცავს ყველა აქტუალურ სტანდარტს, ტრენინგის 50%-ზე მეტი ეთმობა საქართველოს ბაზარზე დაფიქსირებული რეალური ქეისების განხილვას. ჩვენ გთავაზობთ მზა გადაწყვეტილებებს ისეთ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიც არის მაგალითად:

- კრედიტ ნოტების აღრიცხვა მარაგების თვითღირებულებაში;
- წარმოების დანახარჯების განაწილება პროდუქციის თვითღირებულებაზე;
- ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადების განსაზღვრა;
- ძირითადი საშუალებების რემონტების აღრიცხვა, მაგალითად, დანადგარის დაზიანებული ძრავის გამოცვლა;
- ბონუს ქულების აღრიცხვა „ფასს 15- კლიენტებთან ხელშეკრულებები“-ის შესაბამისად;
- ფინანსური და ჩვეულებრივი იჯარის აღრიცხვა;
- სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშება და განსაკუთრებულ აქტივში კაპიტალიზირებადი პროცენტის მოცულობის განსაზღვრა.

კურსის გავლის შემდგომ შეძლებთ

- ფასს-თან დამოუკიდებელ მუშაობას, რაც დაგეხმარებათ მომავალში პრობლემური საკითხების გადაჭრაში;
- გაეცნობით ყველაზე ხშირად დაშვებულ შეცდომებს და მიიღებთ მზა გადაწყვეტილებებს პრობლემის გადასაჭრელად;
- შეძლებთ დამოუკიდებლად შეიმუშაოთ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა;
- შეძლებთ აუდიტის დასკვნის როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური ნაწილის გაანალიზებას;
- შეძლებთ აქტივების მართვის პროცესისა და კონტროლის მექანიზმების შემუშავებას;
- შეძლებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებას;

ჩვენი ტრენინგის უპირატესობები:

ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა არ აჭარბებს 15 ადამიანს, რაც მსმენელებს საშუალებას აძლევს ტრენინგის მიმდინარეობისას მაქსიმალურად იყვნენ ჩართულები დისკუსიებში , განხილვებში და წარმოადგინონ საკუთარი პრობლემური საკითხები.

ტრენინგი უნიკალურია იმით, რომ ეყრდნობა საქართველოში არსებული კომპანიების რეალური ქეისების გარჩევას და ანალიზს, რომელიც ეხმარება მსმენელებს მიღებული ცოდნა გამოიყენონ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში.

ვისთვის არის განკუთვნილი:

IFRS სტანდარტების სიღრმისეული კურსი განკუთვნილია გამოცდილი ბუღალტრებისთვის, ფინანსისტებისთვის, აუდიტორებისთვის, რეპორტინგის სპეციალისტებისთვის

დეტალები:

კურსის ხანგრძლივობა - 30 საათი (6 კვირა)
მსმენელების რაოდენობა - 15 ადამიანი

ენა-ქართული
კურსის ღირებულება-700 ლარი

577 62 03 03 574 90 03 43
info@ebit.ge

კურსის შესახებ	მთავარი თემები	განსახილველი საკითხები
ლექცია 1	ბასს 1-ფინანსური ანგარიშგების წარდგენა; ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები; ბასს 10 - საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები; ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების პირველად გამოყენება	ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური ჩარჩო ფინანსური ანგარიშგებების სრული პაკეტი და ფორმები ფინანსური ანგარიშგების პირველადი წარდგენის ნოუანსები ფასს სტანდარტებზე გადასვლის ტექნიკა, ნაშთების კორექტირება სააღრიცხვო პოლიტიკის არსი და მნიშვნელობა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება და ცვილებების აღრიცხვა სააღრიცხვო შეფასებების არსი და მნიშვნელობა, ცვლილებების აღრიცხვა ბალანსის შედგენის შემდგომ მომხდარი მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების თარიღები
ლექცია 2	ბასს 2 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები	მარაგების აღიარება მარაგების შეფასების მეთოდები ფასდაკლებების და სხვადასხვა ფასდათმობების (კრედიტ ნოტა) აღრიცხვა წარმოების დანახარჯების განაწილება თვითღირებულებაზე ნეტო სარიალიზაციო ღირებულება მარაგების ჩამოწერა
ლექცია 3	ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ბასს 21 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები	შემოსავლის აღიარების ხუთ ეტაპიანი მოდელი შემოსავლების აღიარება საქონლის რეალიზაციიდან შემოსავლების აღიარება მომსახურების კონტრაქტებიდან ლოიალური ბარათების/ბონუსების აღრიცხვა ფასდაკლებების და სხვადასხვა ფასდათმობების (კრედიტ ნოტა) აღრიცხვა ფულადი მუხლების იდენტიფიკაცია სამუშაო ვალუტა, წარსადგენი ვალუტა საკურსო სხვაობების აღრიცხვა მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების აღრიცხვა უცხოურ ვალუტაში მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების გადაანგარიშება
ლექცია 4	ბასს 16 - ძირითადი საშუალებები ბასს 40 - საინვესტიციო ქონება	ძირითადი საშუალებების აღიარება და თვითღირებულების განსაზღვრა ძირითადი საშუალებების შეფასების მეთოდები მომსახურების ვადების განსაზღვრის ტექნიკა გადაფასების მეთოდის ნიუანსები
ლექცია 5	ბასს 16 - ძირითადი საშუალებები ბასს 40 - საინვესტიციო ქონება	კაპიტალური და მიმდინარე დანახარჯები ცვეთის მეთოდები ცვეთის დაწყებისა და შეწყვეთის პერიოდის განსაზღვრა ძირითადი საშუალების აღირების შეწყვეტა საინვესტიციო ქონების კლასიფიკაცია საინვესტიციო ქონების საწყისი აღიარება საინვესტიციო ქონების შემდგომი შეფასება გადატანები ძირითადი საშუალებიდან საინვესტიციო ქონებაში და პირიქით

კურსის შესახებ	მთავარი თემები	განსახილველი საკითხები
ლექცია 6	ბასს 38- არამატერიალური აქტივები; ფასს 5 - გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები;	არამატერიალური აქტივების აღიარება და შემდგომი შეფასება არამატერიალუ აქტივების შექმნა კომპანიაში განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების აღრიცხვა გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივების კლასიფიკაცია გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივების შეფასება გადატანები გასაყიდად გამიზნული აქტივების გამსვლელ ჯგუფში და პირიქით შეწყვეტილი ოპერაციების აღრიცხვა
ლექცია 7	ბასს 17 - იჯარა;	ფინანსური და საოპერაციო იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარის აღიცხვის ნიუანსები ფინანსური იჯარის აღიარება ფინანსური იჯარის აღრიცხვის თავისებურებები
ლექცია 8	ბასს 17 - იჯარა;	უკუიჯარის აღრიცხვა ფინანსური იჯარის რეალური ქეისის განხილვა ფინანსური და საგადასახადო აღიცხვას შორის არსებული სხვაობების ანალიზი ახალი იჯარის სტანდარტის ფასს 17 -ის მნიშვნელოვანი მიუანსები
ლექცია 9	ბასს 23 - სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები;	ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები ეფექტური საპროცენტო განაკვეთი განსაკუთრებული აქტივის კრიტერიუმები სესხის პროცენტის კაპიტალიზაცია კაპიტალიზაციის შეწყვეტა კაპიტალიზაციის ნორმა
ლექცია 10	ბასს 28 - ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში და ერთოვლივი საქმიანობა;	ინვესტიციების კლასიფიკაცია ინვესტიციების აღიარება კაპიტალ მეთოდი ინვესტიციების გაუფასურება დივიდენდების აღიარება
ლექცია 11	ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები;	კონტროლის იდენტიფიკაცია (აკონტროლებს თუ არა ინვესტორი საწარმოს) გათავისუფლება კონსოლიდაციისგან ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განხილვა კონსოლიდაციის პროცედურები (ელიმინირება) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განხილვა
ლექცია 12	განვლილი მასალების შეჯამება / ქეისების განხილვა	